№ 146
ივლისის 12, პარასკევი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 146
ივლისის 12, პარასკევი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ელისაბედ ივანეს ასული კალოუბანსკისა და დარია დიმიტრის ასული მუსხელოვისა
მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ამა ივლისის 10-ს
პირველი შვილისას, ხოლო მეორე დისას

ანნა გიორგის ასულის

კალოუბანსკისას

გარდაცვალებულის გვამს გაასვენებენ კალოუბნის ეკლესიაში წირვის და ანდერძის ასაგებად 13 ივლისს, 9 საათზედ. ხოლო პანაშვიდები სახლში ჩოველ დღე ნაშუადღევის პირველსა და საღამოს 7 საათზედ იქმნება გარდახდილი. ლორის-მელიქოვის ქუჩა № 19, სახლი მუსხელოვისა. (2—380—1)

ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა

(იხილე მე-4 გვერდზედ) (25—379—1)

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

მირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,803 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარონ ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, საცა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში საველელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრედვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონლის გადასაზიდად იქ, საცა პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნავოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან იმ საქონლის შესახებ, რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვევ და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და მდინარით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა, ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სახლო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.

(120—6.—1)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ვ ე ქ ი ლ ი

ა. მ. ახნაზაროვი

გადავიდა

ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ე. საგინაშვილის სახლში, № 21, ბ-ნ მ. გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით, „ივერია“-სეულს სადგომში.

ნახვა შეიძლება: დილის 8—10 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე, კვირა დღეობით: მარტო დილით 9—12 საათამდე.

(10—4)

ქართველ ქალთა

ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ ს ა კ ე რ ა ვ ს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (**МѢТКИ**). ბარონის ქუჩა. № 12

გორში

ექიმი კ. ლ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს საკუთარს სახლში, ფრანგების ეკლესიის ახლო.

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჯ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

კ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.

(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჰიჰინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ბ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ზრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

ბ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

ტფილისი, 12 ივლისს.

გუშინდელს წერილში იმაზედ შევჩერდით, თუ როგორ უნდა მოეწყოს ჩვენში მამულების გაყიდვის საქმე და ვის უნდა მიეყიდოს ეს მამულები.

ყველამ ვიცით, საქართველო ერთი უმდიდრესი, უმშვენიერესი და ჰავით შეზავებული კუთხეა მსოფლიოსი. თვით ერიც, ვით მისი კოხტა და ტურფა სამშობლო, აგრეთვე შემკულია გარეგნობით და შინაგან, სულიერ, ძალთა აღმატებულებით; ნიჭიერება, გონიერება, ლმობიერება, ვაჟკაცობა, გამბედაობა, შეწყნარება, ჩაგრულთ სიყვარული, პურადობა და მრავალი ამგვარი სათნოება იმ თავითვე ქართველის უეჭველი ღირსებაა.

იყო დრო, როდესაც ტურფა საქართველოში ტურფად ჰყვაოდა ქართველთ განათლება, როდესაც გონებრივ და ქონებრივ წარმატებულ ერს შეეძლო კიდეც შეექმნა საოცარი ხელოვნების შენობანი, კიდეც ეწერა ხელითხელ საგოგმანებელი თხზულებანი, კიდეც მოეგერებინა აუარებელნი მტერნი და კიდეც ძოევლო მათში აგებულ ციხე-ტაძარ-კოშკებისათვის.

თუ ყველა ეს შეიძლებოდა წინა დროს, რატომ არ შეიძლება განმეორდეს დღეს, როდესაც კაცობრიობის გენიოსობით შექმნილი ყოველგვარი ტეხნიკა ხელს გვიწყობს და ძალას გვმატებს?

ჩვენი მიწა-წყალი და მამულ-დედული, მაინცა და მაინც, ისე არ არის გამოფიტული და მოღალული, რომ ვერ გამოჰკვებოს და, თუ გარჯილობას ვუმატეთ, ვერ გაგვამდიდროს და ქონებრივად ვერ გაგვაღონიეროს. ამის უტყუარი მაჩვენებელი, თუ გინდ ის არის, რომ ჩვენებური გლეხი ხშირად ქცევა მიწაში იძლევა 1000—1500 მანათს. მან, რასაკვირველია, იცის, რომ კარგის მოვლით სახუკვარ მიწას გააპოხიერებს, ჩაუდგამს ახალს სულს, აინაზღაურებს თავის დანახარჯს და თავის შვილებსა და ძომავალ თაობას გაუჩენს უშრეტ წყაროს ცხოვრებისას.

ვიმეორებთ, წინად ჩვენი სამშობლო განთქმული იყო, არა თუ მის მკვიდრთა სიმამაცით მარტო, არამედ მის მრავალგვარ წარმოებითაც. მსოფლიო ბაზარი იცნობდა ჯერ აქაურ კანაფსა და სელს და მათგან ნაკეთობას, მერე ეგვიპტურს. აქაური თაფლი, აქაური აბრეშუმეულობა, უხუნო საღებავები, მოვლილი და უხვად მსხმოიარე ვენახები, კრამიტით დახურული სახლები, გზები, მრავალნაირი ხილეულობა, ზეთი, მადნეულობა (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი) და, საზოგადოდ, სიმდიდრე და ძლიერება,—ყველა ეს დიდს ყურადღებას იქცევდა, არა თუ მარტო ბერძენ-რომაელების მოგზაურებისას, არამედ თვით გაყვინიზებულ მსოფლიო რომისასაც.

იგივე მიწა გვიჭერია დღესაც; იმავე შთამომავლობისანი ვართ, რომელნიც მსოფლიო ყურადღებას იპყრობდნენ თავის ცხოვრებით, თავის, სოფლურად რომ ვსთქვათ, კაცურ კაცობით. დღეს-კი, ვინც უნდა ვიყვნეთ მარილნი ამა ქვეყნისანი, მტრად გადავქცევივართ ჩვენს რამდენისამე ათას წლობით მარჩენელ დედა-მიწას, უპატიოდ ვექცევით დედულ-მამულს და ის-კი გვავიწყდება, რომ დედ-მამის შეურაცხმყოფელი კეთილად ვერ იცხოვრებს და დღეგრძელ ვერ იქნების.

ერთგულად მოვკიდოთ ხელი საქმეს, გავაპატივოთ მამულები, მეტის ცოდნით მივყოთ ხელი ხვნა-თესვას, მევენახეობას, მეფუტკრეობას, მეაბრეშუმეობას, კანაფისა და სელის მოყვანას, „ვარდის წყლის“ გამოხდა-დაყენებას (რომელიც ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ და რომლისაგანაც დღეს მილიონები შემოსდის ზოგიერთ სახელმწიფოს) და მრავალგვარ სხვა დარგს მეურნეობისას... თუ ფინნის შთამომავლობამ ალაყვავა თავის ფინლანდიის ხრიოკები და გადოვლათიანდა, მხნე ერის სახელი მოიხვეჭა, როგორ იქნება, ჩვენ ვერ ალვაყვავოთ ჩვენი, შედარებით, უხვი საქართველო!

ოღონდ, საჭიროა გარჯა და გამუდმებული შრომა. ხოლო ვისაც დიდი მამული აქვს და არ შეუძლიან მისი მოვლა, უკეთესი იქნება მოიწვიოს თაოსანი ქართველი მუშაკები და გადასცეს მათ იჯარით, თუ არა-და, პირობით, რომ გააშენონ, მამა-პაპათა ჩვეულებისამებრ, სანახევროდ.

ხშირად გვსმენია დიდ მემამულეთაგან: მოურავისა და ყარაულების ფასსაც არ გვაძლევს ჩვენი მიწაო. რა საჭიროა უვიც მოურავისა და ყარაულების დაჭერა, როდესაც შეიძლება ამგვარი მამულები ჩაჰბარდეს თვით მხვნელ-მთესველს, თვით მეურნეს, რომელმაც იცის ტყისა და ველის ყადრი, რომელიც თავის საკუთარის შრომითა და ოფლით დიდს სარგებლობას მოუტანს მამულსაც, მისს პატრონსაც და თავისს თავსაც.

გასაყიდ, ანუ როგორც სოფლად იტყვიან, გასაჩქერებელ, მამულების მოწეს-რიგება და გადაცემ-გადმოცემა რთული და ფრიად დიდ-მნიშვნელოვანი საგანია და მოითხოვს ხანგრძლივსა და ყოველ მხრივ განხილვას. იმედია, ჩვენი მკითხველები გულდასმით ჩააკვირდებიან ამ საჭირ-ბოროტო საგანს და თავიანთ აზრს შეგვატყობინებენ მის შესახებ; ჩვენ-კი ჯერ-ხნობით გვგონია, რომ შესამჩნევად წინ წავწევდით საქმეს, თუ ყოველის მაზრის კარს დავარსებდით განსაკუთრებულ ბიუროებს და დავავალებდით, შეეგროვებინათ ცნობანი, თუ სად რა მამულია, რამდენ კომლს დაიტევს, რა პირობით იყიდება, იჯარავდება ანუ გასაშენებლად სანახევროდ იძლევა, რა და რა ძვირფასი მცენარე უნდა მოშენდეს, ანუ რა ჯიშის საქონელი. ამგვარ ბიუროების არსებობას მალე შეიტყობდნენ მკვიდრნი და, ვისაც ქვა უჯრის და ძალა შესწევს, ეცდებოდა, არ დაეკარგა შემთხვევა შეეძინა მამული ანუ მისი მოვლა-პატრონობა ეკისრა. ვიმეორებ, ეს საგანი მოითხოვს საფუძვლიანს განხილვას მთელის საზოგადოებისაგან, და ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით მას, როდესაც სხვების აზრსა და შეხედულობასაც გავიგებთ. ახლა-კი ვიტყვით, რომ სადაც ერთურთის ნდობით, სიყვარულით და თანხმობით კეთდება საქმე, იქ ადგილი არა აქვს სასოწარკვეთილებას, ადამიანის დამჩაგვრელ ნაღვლიანობასა და სიდარიბე-სილატაკეს. ერთმანეთის დამხმარებით, სადვთო შურით და მეცადინეობით საშვილიშვილო საქმეც კეთდება და ერიც იმართება წელში, მანამდე ჩაქინდრული თავი მაღლა იწევს და, შუბლ-გახსნილი, ნათელის ღიმით შეჰხარის თავის უკეთეს მერმისს.

ტფილისი

◆ ჩვენის დრამატიულ საზოგადოების გამგეობას უკვე უშოვნია მსურველი თეატრის ალებისა. ამდღეებში გამგეობა და თავ. წერეთელი, რომელსაც სოპრანოს დასი ჰყავს რუსეთში, მოაწერენ ხელს პირობას ქალაქზედ. წერეთლის დასში, როგორც ამბობენ, იქნებიან მოწვეულნი ისეთი გამოჩენილი მომღერლები, როგორც ბატისტინი—ხელმწიფე ბარიტონებისა, უბეტი—გამოჩენილი კოლორატურული სოპრანო და მაზინი—მეფე ტენორებისა.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსს, ბ-ნს ოლენოვსკის გამოუცია ბრძანება, რომ განყოფილებათა უფროსებს ნება აქვთ დაითხოვონ სამსახურიდან, თუ საჭიროდ დაინახა-

ვენ, ის უმცროსი მოხელენი, რომელნიც 500 მანეთზედ მეტს არ იღებენ წელიწადში ჯამაგირსაო.

✦ ტფილისის გუბერნატორისაგან პოლიცმეისტერს მოსვლია შემდეგი მოწერილობა: რაც შეიძლება მალე აცნობეთ მშობლებს, რომელთაც სურთ შვილები კავკავის კადეტთა კორპუსში მიაბარონ, რომ ყველა საჭირო მოწმობანი და ცნობანი კავკავის კადეტთა კორპუსის დირექტორის სახელობაზედ გაგზავნონ 1—10 მარიამობის თვემდინაო.

✦ ჩვენს ქვეყანასა და წარსულს თანდათან აქცევენ ყურადღებას ევროპის დიდრონ ქალაქებშიაც. ამ დღეებში ჩვენს ცნობილს პედაგოგს და მოღვაწეს ბ-ნს ი. გოგებაშვილს ბერლინიდგან მოუვიდა შემდეგი წერილი:

„მოწყალეო ხელმწიფევ! სურვილი მაქვს შევისწავლო ქართული ისტორია, აწინდელი ცხოვრება და ლიტერატურა. მოგმართავთ თქვენ, ვითარცა გამოცდილს და ღვიძლ ერთან დაახლოვებულს თხოვნით, რომ მომცეთ თქვენი დარიგება და აღმომიჩინოთ დახმარება თქვენის მშობლიურ ენის ცხოვრებისა და მისის ენის შესასწავლად. შეძლებისამებრ მსურს გერმანელთ გავაცნო მომხიბლველ საქართველოს მრავალ-ტანჯულ ერის წარსული ბედი და აწინდელი ყოფა-ვითარება.

ამ ხელად დამეხმარეთ და აღნიშნულ საგნის შესახებ მიჩვენეთ წყაროები ევროპიულს ენებზე და სახელმძღვანელონი ქართულ ენის შესასწავლად. სასურველი იქნებოდა, რომ თქვენის რჩევით დამხმარებოდით რამდენისამე ტემის ამორჩევაშიაც“.

წერილს ხელს აწერს ი. ა. ვილენსკი.

✦ ამ ცოტას ხანში მოელიან ტფილისს ინჟენერ რობის. ამბობენ, ფუნიკულერის ასაყვანად მოდის მამა-დავითის მთაზეო.

✦ ტფილისში კვირასაქეთია ძალიან ჩამოცხა, მაგრამ საღამოობით ცოტაოდენს სიგრილეს იჭერს ხოლმე ჯერ კიდევ.

✦ ტფილისის გუბერნიაში მოარულით ავად გამხდარან ივნისის განმავლობაში: 26 წითელათი, 12 ყვავილით, 11 დიზინტერიით (ყვანა), 9 მუცლის სახადით, 8 ყივანა-ხველათი, 4 ხუნაგით (დიფტერიტი) და 2 ქუნთრუშით. მაგრამ ნამდვილი-კია ეს ცნობანი?! ვინ იცის, რამდენი შემთხვევა არ უცნობებიათ ავადგახდომისა სოფლებიდგან საგუბერნიო მმართველობის სამკურნალო განყოფილებისათვის, რომელმაც გამოაცხადა ეს ცნობანი.

✦ კვირას, 14 ივლისს, ალექსანდრეს ბაღში იქნება დიდი სეირნობა იმ საზოგადოების სასარგებლოდ, რომელსაც აზრად აქვს გადარჩენა ხალხისა წყალში დახრჩობისაგან.

✦ ახლად დანიშნული კავკასიის სამხედრო ოლქის ინტენდანტი გენ.-მაიორი შულმანი უკვე ჩამოვიდა ტფილისში და შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

✦ ექვსასი თუმანია ამ ჟამად მოგროვილი ყრუ-მუნჯთათვის სკოლის დასაარსებლად ტფილისში. სკოლაში მიღებულ იქმნება პირველ ხანად 12 კაცი. სასურველია, რომ ამ სამადლო საქმეს ბლომად მოუგროვდეს ფული შეწირულობით.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში ქალაქ ეკატერინოსლავში ერთი კაცი შეუპყრიათ, რომელიც ტფილისის ქალაქის კასიდან მოპარულ ობლიგაციებს ასაღებდა („ცნ. ფურ.“).

✦ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის დამფასებლების არჩევანი სექტემბერში მოხდება.

✦ მესამე სავაჭრო-სამეურნეო განყოფილების ზედამხედველი ტერ-სიმონიანცი ქალაქის გამგეობას აუწყებს, რომ როდესაც მისი კაცი, ზაურბეგ ანზოროვი გაემგზავრა ქალაქის მიწების დასათვალიერებლად ნაძალადევისა და ლოტკის გორის მიდამოებში და როდესაც მიაღწია რკინის გზის ლიანდაგს, ერთმა ვიღაც უცნობმა შეუყვირა და აუკრძალა გზაზედ გადავლა; ამ დროს გამოცვივდნენ კიდევ სამი უცნობი და დაუწყეს ზაურბეგ ანზოროვს ცემაო; ამ საქმეზედ რკინის გზის უფროსმა ჟანდარმმა უკვე ოქმი შეადგინა და პოლიციაში წარადგინაო; ტერ-სიმონიანცი დასძენს: რადგანაც ეს უცნობნი ნაძალადევში მამულის პატრონები უნდა იყვნენ და, მაშასადამე, მამულის მეთვალყურეს შურის ძიებით მიაყენეს შეურაცხყოფა, ამიტომ ქალაქის მმართველობას სთხოვს, ოქმში მოხსენებულნი სასამართლოში იქმნენ მიცემულნიო.

✦ მესამე განყოფილების სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველი ტერ-სიმონიანცივე აუწყებს ქალაქის მმართველობას, რომ არა ერთხელ მითხოვნია ნაძალადევში ქალაქის მიწათა მოიჯარადრეთათვის, რომელთაც აგურისა და ქვის სამტვრევი ქარხნები აქვთ ბ-ნთ კუემბახისა, მელიქ-მურადოვისა, შახვერდიანცისა, ტერ-აკოფოვისა და სხვათათვის, რომ ან შემოჰლობონ თავიანთ მიერ იჯარით აღებული ნაჭრები, ან ამოიღონ გარეშემო არხი, როგორც ამას მოითხოვს ქალაქთან მათ მიერ ხელშეკრულობის პირობაო; მაგრამ ისინი ამ ჩემს თხოვნას არავითარ ყურადღებას არ აქცევენო; ამისათვის ტერ-სიმონიანცი სთხოვს ქალაქის მმართველობას, დაინიშნოს ხელმეორედ ქალაქის მიწის მზომელი, რომელმაც უჩვენოს მოიჯარადრეებს საზღვრები მათ მიერ იჯარით აღებულ ნაჭრებისა, აგრეთვე დაევალოთ მოიჯარადრეებს, რომ მათ სავალდებულოდ გაიხადონ ხელშეკრულობაში აღნიშნული პირობანი; თუ არა და ჩამოერთვათ ეს მიწებიო. ამაზედ გამგეობის წევრმა ენფიაჯიანცმა უკვე მოახდინა განკარგულება და ითხოვს, მალე შეატყობინონ ამ საქმის შედეგი.

✦ ტფილისის ხელოსანთა გამგეობა დღეს-ხვალ გადადის ახლად დაქირავებულ შენობაში ეგზარხოსის მოედანზედ.

✦ 9 ივლისს შეიპყრეს კნეინა თუმანოვის ნივთების მომპარავნი ვასილ თომაევი და გიგო ელბაქიძე, რომელთაც 510 მანეთამდე ღირებული ოქროს ნივთების მოპარვა ჰბრალდებათ. დამნაშავენი გამოტყდნენ და ნივთებიც აღმოაჩინდათ.

✦ 10 ივლისს, როდესაც პოლიციელს მძიმედ ავადმყოფი დათიაშვილი სავადმყოფოში მიჰყავდა, ავადმყოფი გზაში უცბად გარდაიცვალა; გამოძიება სწარმოებს.

✦ 9 ივლისს ალ. სერ. აზარიანცს, იერუსალიმის ქუჩაზედ ცატუროვის სახლში მცხოვრებელს, მოჰპარეს ვერცხლის კამარი, ღირებული 70 მანეთად; დამნაშავე, ალექსანდრე რუსიაშვილი, უკვე შეიპყრეს.

✦ 10 ივლისს ერევნის მცხოვრებმა გუკას პეტროსის ძემ ოგანესიანცმა მეხუთე ნაწილის ბოქაულს გამოუცხადა, რომ სახლიდგან მოჰპარეს 64 მანეთის სხვა-და-სხვა ნივთიო. ეჭვი არავისზედ არა მაქვსო.

✦ 10 ივლისს გეორგიევის ქუჩაზედ 14 წლის ყმაწვილმა თევდორე სოფრომ საგანელიძემ გაუფრთხილებლობით, ლამპის ანთების დროს, ნავთი გადისხა, რითაც მუცელი და გული მთლად დაიწვა. დაშავებული მიხეილის სავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 9 ივლისს სამეგრელოს პოლკის ჯარის კაცი ვასილ გონბაროვი, მტკვარში ბანაობის დროს, ჩავარდა ღრმა ადგილას და იხრჩობოდა, მაგრამ აქვე მყოფმა მცურავმა ბ-ნმა პორტნოვმა დახრჩობას გადაარჩინა.

ჩვენებური ამბები

ჩვენ გვატყობინებენ, რომ გურიაში, ლანჩხუთის სადგურზედ, 9 ივლისს, მოუკლავთ თ. დავით გიორგის ძე გურიელი. მკვლელი ჯერ აღმოჩენილი არ არის და არც ისა სჩანს, რა მიზეზით უნდა მოეკლათ. ამბობენ, რომ შურის ძიებით უნდა იყოს მოკლულიო.

—

სამკურნალო დეპარტამენტი იწერება, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ სოფლებს, საცა ქსენონების დაარსება ძნელია. აქ, მცხოვრებთა ხელ-მოკლეობის გამო, უნდა დაიმართოს საფერშლო სადგურებიო.

—

„ტფ. ფურ.“-ს სწერენ ივრის ხეობიდან, რომ იქ მოუკლავთ მოსიარულე ვაჭარი ებრაელი მარდახა მოშიაშვილი სოფ. ჩაილურს ახლოს. მოკლული არ გაუძარცვავთ. არ იციან, რა მიზეზით უნდა იყოს ეს კაცის-კვლა მოქმედებული. ამბობენ, რომ რომანის ბრალი უნდა იყოს ეს დრამაო.

დ. ნაცვლიშვილის მაგივრად, რომელმაც 30 წელიწადი იმსახურა ბოქაულად, მოგვივიდა ახალი ბოქაული ბ-ნი ობოლენსკი.

—

„პრავიტელ. ვესტნიკ.“-ში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, თუ რამდენი კაცი უნდა იქმნას წელს გაწვეული ჯარებში სამხედრო ბეგრის მოსახდელად თითოეულს გუბერნიაში. ამ ბრძანების თანახმად, ტფილისის გუბერნიაში და ზაქათალის ოლქში უნდა გამოიწვიონ 2629 კაცი, ქუთაისის გუბერნიაში—3079.

—

თელავი. თელავი გულია კახეთისა. მდებარეობით და შემკულობით თელავს ალაგი არ შეედრება, მაგრამ, როგორც ბუნებაა ათას ფეროვანი, ისე ხალხი გვყავს ათას-ნაირი. ერთობა საქმეში აქ შეუძლებელია და ეს ხომ საერთო სენია ჩვენი. ერთი საცოდავი ბიბლიოთეკა გვაქვს და მისთვისაც ვერ მოგვივლია. ლამის მალე სული დალიოს და მიზეზიც-კი ხეირიანად ვერავის გამოურკვევია. ზოგი მართველობის წევრებს აბრალებენ, ზოგი მოწინააღმდეგე დასს და ზოგიც საზოგადოების გულგრილობას. მე-კი რომ მკითხოთ, ყველანი ერთნაირად დამნაშავე არიან. დიდმარხვიდგანვე ეტყობოდა, რომ მართველობის წევრთა და მოწინააღმდეგე დასს შუა უთანხმოება მწვავდებოდა. ბოლოს იქამდის მივიდა საქმე, რომ ეს ბატონები მართველობას რაღაცა, თითქმის, ქურდობასაც-კი სწამებდნენ. ამბობდნენ, რომ დიდ-ძალი წიგნები აკლია ბიბლიოთეკასაო. გარდა ამისა ბიბლიოთეკის სასარგებლოდ ხშირად წარმოდგენები და სხვა რამ შემოსავლიანი გასართობები იმართება, ფული შემოდის და უკეთესობა-კი არა ეტყობა-რა ბიბლიოთეკასაო. რამდენიმე კრება იყო დანიშნული ამ საქმეების გამოსაკვლევად. ბოლოს რაღაც რვა მანეთზედ ასტეხეს მოწინააღმდეგეთ დავი-დარაბა: ზოგი ამბობდა, აკლია რვა მანათიო, ზოგი-კი—დანიშნულებისამებრ არ მოიხმარესო. ამ კითხვის შესახებ 29 თიბათვეს დანიშნული იყო კრება. კრება გაიხსნა ბ. ჩხიკვაძის თავმჯდომარეობით. ყველას ეგონა, ეს ძალიან საინტერესო კრება იქნება, რადგან რვა მანეთის ქურდნი საზოგადოების წინ გამოაშკარავდებოდნენ, მაგრამ მოვტყუვდით. ოპოზიციამ ვერაფერი უნარი გამოიჩინა. თავმჯდომარემ რამდენჯერმე განგებ იკითხა, სთქვით, თუ ვისმე რამე გაქვთ სათქმელი ამ რვა მანეთის შესახებაო, მაგრამ მოწინააღმდეგეთ ვერაფერი ვერ დაგვიმტკიცეს. ისინი ამბობდნენ, რვა მანეთი მოპარული-კი არ არის, მაგრამ სხვა პწკარშია ჩაწერილიო. აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! განა, ღირდა ამის გულისათვის მოწინააღმდეგე დასებად დაყოფა? ერთი სიკეთე-კი გვიყო ამ დასებათ დაყოფამ. ერთმანეთის ჯიბრით ერთნიც და მეორენიც ყოველ კვირა მართავენ წარმოდგენებს. ერთნი ჩვეულებრივ საბავშვო სალამოებს და წარმოდგენებს და მეორენი სახალხო წარმოდგენებს. ეს უკანასკნელნი ქებისა და თანაგრძნობის ღირსნი არიან, რადგან საწყალ ხალხს იაფ-ფასად შეუძლიან დაესწროს წარმოდგენებს. ერთი ეს არის, რომ ჩვენ ღარიბ თელავს არ შეუძლიან ორი დასი შეინახოს და კარგი-კი იქნება, ერთად შეერთებულიყვნენ და ისე ემართათ წარმოდგენები.

ზოგი მერე.

—

(დასასრული *)

ქუთაისი (**ქუთაისის განახლებულ საბჭოს საქმეები**). ამ გვარის სიჩქარით¹) 1 ივ. ქალაქის მეთაურების არჩევა ხმოსნების ერთმა ნაწილმა ნაადრევად მიიჩნია და განაცხადა, რომ კრება გადადებულიყო, თუ სექტემბრისთვის არა, რამდენისამე კვირით მაინც და, აჩქარებულთათვის თუ ესეც მოუხერხებელი იქნებოდა, ერთის კვირით, ან-უ რამდენისამე დღით ხომ უთუოდ. აჩქარებამაო, სთქვა მხნედ მოუბარმა კალისტრატემ, ყოველთვის უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენა. დღემდე თუ აჩქარებით ვწყვეტდით საქმეებს და ამ გვარად ზელს ვუწყობდით პარტიების გაჩენას, დღეს ამის შიში აღარ უნდა გვქონდეს: ყველანი დამშვიდებულნი ვართ, ქალაქის საერთო ინტერესებს ვემსახურებით, ყველანი იმით ვართ გამსჭვალულნი. რა საჭიროა აქ აჩქარება, მოვიფიქროთ, საქმეს ჩავუკვირდეთ და შესაფერი კანდიდატები მოვძებნოთ; ხუმრობა ხომ არ არის, ოთხს წელიწადს კაცისათვის საქმის ჩაბარება! ხვალ და ზეგ ხომ ვეღარ გამოვცვლით? დღეს ქალაქის თავი ავირჩიეთ, იმას და წევრებს ჯამაგირები მოვუმატეთ და ჯერ ეს დაგვიმტკიცოს მთავრობამ, თორემ, თუ ეს არ დამტკიცდა, ძველ ჯამაგირზე სასარგებლო კაცებს ვერ ვიშოვით, შრომას ხეირიანი არავინ იკისრებს. ამორჩევების დროს იმდენი უწესოებანი მოხდა, რომ არც-კი ვიცოდით, თუ დამტკიცდებოდა.

დღევანდელი საარჩევნო კრება ისე აჩქარებულიაო, სთქვა ექიმმა ნ. კიკინაძემ, რომ მის დანიშვნის ამბავი მხოლოდ გუშინ გავიგეთ; კანონის ძალით-კი 3 დღით ადრე უნდა ვიცოდეთ კრების დღე. დღემდე არც-კი ვიცოდით დაგვამტკიცებდნენ თუ არა ხმოსნებად. ჩვენ მხოლოდ გუშინ შევხვდით ერთმანეთს და ყველას არც-კი ვიცნობთ. ამიტომ ვერც-კი მოვასწარით შეკრება და რიგიანად კანდიდატებზე მოლაპარაკება. წინად-კი ამაზე არ გვიფიქრია, რადგან გაგონილი გვქონდა, რომ მთავრობის მიერ გადაყენებული გამგეობის წევრი იქნებ ისევ დაუბრუნდეს სამსახურსაო და მაშინ ხომ კანდიდატის ძებნაც აღარ იქნებოდა საჭირო. ქალაქის ინტერესები სრულიად არ თხოულობს, რომ მაინცა და მაინც დღეს მოხდეს წევრის არჩევა. ისეთ საჩქარო საქმეებს არას ვხედავთ, რომ ქალაქის თავიც რომ წავიდეს, მისი მოადგილე წევრი იმათ ვერ აუვიდეს ამ ორის თვის განმავლობაში. ამიტომ მეც დღევანდელ კრების რამდენისამე დღით მაინც გადადება ისევ ქალაქის ინტერესებისათვის საჭიროდ მიმაჩნია.

მეორე ახალმავე ხმოსანმა ბართლომე მოსეშვილმა, რომელიც ფოთიდგან დეპეშით დაებარებინათ, ამას ისიც დასძინა, რომ დღემდე თუ სხვას (ალბად, გულისხმობდა ლოლუას) ვუკიჟინებდით წაფუსფუსებით, აჩქარებით ახდენს კენჭის ყრასა და მით ახერხებს თავისიანების გაყვანასაო, დღეს რაღა დაგვემართა, ძალას არავინ გვატანს და მაინც კიდევ ვჩქარობთ?! რატომ ასე სულწასულობით გვინდა გადავწყვიტოთ ამგვარი საპასუხისმგებლო საკითხი?! მე საქმეების გამო არა ვარ ქუთაისში, გუშინ 11 საათზე მივიღე ტელეგრამა, ხვალ „ზასედანიე“ არისო და ჯიბაში ხომ არ მყავს საკანდიდატო კაცი დამწყვდეული, ხელი ჩავიყო, ამოვიყვანო, სტოლზე დაგისვათ და გითხრათ: აი ესაა სასურველი კანდიდატი და კენჭები ამას უყარეთო. სწორედ მაკვირვებს თქვენი ასე აჩქარებული საქციელი და ვერ წარმომიდგენია მიზეზი ამისა!.. მოვიცადოთ, ბატონებო, ერთმანეთი გავიცნოთ, მივიხედ-მოვიხედოთ, მივიკითხ-მოვიკითხოთ და იქნებ ისეთი კაცი ვნახოთ, რომელიც ყველასათვის სასურველი კანდიდატი აღმოჩნდეს. სიჩქარით რომ ხეირიანად საქმე არ ბოლოვდება, ეს ყველამ ვიცით და მაშ მიკვირს, რაღას ვჩქარობთ!..

ამორჩევების გადადებას მხნედვე ეწინააღმდეგნენ ხმოსნები: გ. ზდანოვიჩი, დ. ნაზაროვი, ა. ნანეიშვილი და სხ. ისინი ამტკიცებდნენ, ვითომ კრების გადადების მომხრეთ რაღაც სხვა მოტივები ²) უნდა აინტერესებდნენ და არა ის, რაც კრებაზე ითქვაო. აქ-კი ქალაქის ინტერესები უნდა მივიღოთ სახეში და ეს უკანასკნელი მოითხოვს, რომ ყველა თანამდებობის კაცნი ახლავე იქმნენ არჩეულნი, რადგან ქალაქის თავი და ხმოსნებიც საგარაკოდ მიდიან და მარტო ერთი წევრი ვერ აუვა ამ ზაფხულს ქალაქის საქმეებსო. კანდიდატების მოსაძებნად დრო-კი გვქონდა და, ვისაც სურდა, შეეძლო მათი გამონახვა. ექიმმა კორკაშვილმა-კი ამ დავაშიაც ერთი ახირებული პოზიცია დაიჭირა. ამორჩევების გადაუდებლობას იმით ასაბუთებდა, რომ დღევანდელი ხმოსნები (და ასე გასინჯეთ არა ხმოსნებიც) ყველანი მომზადებულნი ვართ ამ საკითხის გადასაწყვეტადო. ჩვენ **ყველას** (?!) არათუ ცხოვრებაში უკვე გამოსულთ, უნივერსიტეტის სკამზედაც (და, მგონი, გიმნაზიაშიცო, სთქვა მან) რომ ვიჯექით, მაშინაც გვყავდა ჩვენ ჩვენი კანდიდატები ყოველგვარ ჩვენ დაწესებულებაში დასაყენებლადო. ახლა-კი მით უფრო. ამით მე იმის თქმა მინდა, რომ ამ შემთხვევისათვისაც კანდიდატი **ყველას** (?) მზად გვყავს და, მაშასადამე, კრების გადადებაც სრულიად საჭიროდ არ მიმაჩნია ³). მაგრამ ექიმ კორკაშვილისთანა ბედნიერნი მაინც კიდევ **ყველანი** არ აღმოჩნდნენ 1 ივლისის კრებაზედ, მიუხედავად იმისა, რომ ახლანდელ ხმოსნების უმრავლესობა სულ დიპლომებით გაინტელიგენტებულები იყვნენ. თუ ფეხზე წამოდგომას დავეყოებით, აქ უმრავლესობა წამოდგა ფეხზე ქალაქის თავის შეკითხვაზედ, მაგრამ კენჭის მოყვარე კალისტრატემ ეს გამოკვეთებული საქმე „კენჭი უყაროთო“-ს წამოძახილით გააფუჭა.

ბევრი იდავეს და რაღაც ვაჭრული ხასიათი მისცეს ახალმა „მამებმა“ 1 ივლისის კრებაზედ კანდიდატების საკითხს და ბოლოს ქალაქის თავიც შეფიქრდა: იქნებ მართლა სამართლიანობა მოითხოვს კრება გადიდოს და საქმე კენჭზედ მიაყენა. ამან-კი საკითხი შუაზედ გაჰყო, ე. ი. 23 გადადების მომხრე აღმოჩნდა და ამდენივე იმ დღეს ამორჩევისა. ქალაქის დებულების ძალითაო, სთქვა მან მაშინ, საკითხი დღეს ამორჩევის მომხრეების სასარგებლოდ გადაწყდა, მაგრამ, თუ-კი გადადებას საქმის ინტერესი მოითხოვს, ჩემს სააგარაკოდ წასვლის საკითხს ამას ნუ დაუკავშირებთ და კრება გადავდოთ, თუნდაც ამას უმცირესობა თხოულობდესო. მაგრამ ვერც მან და ვერც სხვებმა კრების დიდხანს გადადება ვერ გაბედეს; საარჩევნოდ ისევ მეორე დღე დანიშნეს. ქალაქის თავს და კენჭობიაძეს ბევრს სხვებსაც ეტყობოდათ, რომ ამ საკითხის შესახებ ყოყმანში იყვნენ და რომ მას ზოგიერთ ხმოსნებთან ერთად საგარაკოდ წასვლა არ სდომებოდა საჩქაროდ, ვინ იცის, იქნებ ენკენისთვემდეც გადაედოთ ამორჩევა.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა „ცნ. ფურ.“ და «Н. Об.» კორესპონდენტების შესახებ, რომელთაც ახლანდელ საბჭოს პირველისავე კრების ანგარიშს რაღაც ერთხელ აჩემებული აზრი, ტენდენცია დაუდევს სარჩულად და რადგან ჩიკვაიძე მოჰხვდა საბჭოში ხმოსნად, მის ან სხვის მის გვარისავე ნათქვამზე, კარგი იქნება იგი, თუ ცუდი, უსათუოდ პროტესტი განაცხადოთო. აღნიშნულ გაზეთების კორესპონდენტების სხვა შიდგომილ კილოს თავი რომ დავანებოთ, „ცნ. ფურ.“ აი რა ყოვლად უმართებულო და დაუმსახურებელი სიტყვებია ნათქვამი: „ამგვარად დარჩა მარტო ერთი კანდიდატი ბ-ნი მდივანი. მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა. არჩევნების ორი-სამი დღის წინად მტრებმა თუ მოყვრებმა(?), ნებით თუ უნებლიედ, გამოაძვრინეს ვექილის ი. თ. ბაქრაძის კანდიდატურა. გაჩნდა ორი კანდიდატი, ორივე ერთის ბანაკიდგან, ორივე უმაღლეს სწავლით აღჭურვილი“ (№ 1857, კურსივი ჩვენია). ასეთი აბუჩად აგდება ი. ბაქრაძის კანდიდატობის წამომყენებელთა, ან თვით კანდიდატისა, რომელიც ზემორე მოყვანილ სიტყვებშივე კორესპონდენტის მიერ მოწონებულ ბანაკში მყოფად არის დახატული,—ჩვენ ტენდენციურ უმართებულობად მიგვაჩნია. ვგონებთ დრო-კია, დღეს მაინც ამგვარობისაგან განთავისუფლებისა, მით უფრო, რომ საჭიროა ახლად სამოღვაწეო ასპარეზზედ გამომავალმა ახალგაზდებმა ძველების მიკედლება-მოკიდლებით-კი არ გაირკვიონ თავიანთი ფიზიონომია, არამედ საკუთარ და დამოუკიდებელ ძალით.

ეგევე უნდა ვსთქვათ „ახ. მიმ.“ მოშინაურებულ „ომ“…ზედაც, რომელიც თვისდამი სიმპატია-ანტიპატიით ჰზომავს ქუთათურ მოღვაწეებს და ვინც ვისი, თუ მისი პირადათ მადლიერი, ან უმადურია, იმათ გრძნობაზე ამყარებს საზოგადო საკითხების გადაწყვეტის საქმეს. ცნობილ ჩიკვაიძის გინება რომ ქუთაისში საზოგადო მოღვაწეობის, ინტელიგენტის ატესტატის მიმცემია,—ეს დღეს ყველასათვის მოძველებულ ამბად გადაიქცა დ „ომ“-ც ამ მხრივ ჩვენ არც მაგდენად გვაინტერესებს: იმან ხომ უსათუოდ ის უნდა გაიმეოროს, რასაც ყვრედ წოდებული ინტელიგენცია სადილებზე, ან კრებაზე მუსაიფის დროს წაუჩურჩულებს. უამისოთ „ომ“-ბაც წარმოუდგენელია, თუმცა საომრად იგი ქუთაისში სრულიად მოწყობილი არ არის და არც ხასიათი უნდა შესწევდეს ამისი. ამგვარ როლს ასრულებდა და ასრულებს იგი დღემდე ქუთათურ კორესპონდენტობის მოვალეობისას. ეგევე საკორესპონდენტო ზნე გამოიჩინა მან ქალაქის ახლანდელ ამორჩევების გამო დაბეჭდილ კორესპონდენციაშიც („ახ. მიმ.“, 5 ივლისისა, № 6097-ში), სადაც მოსალოდნელი იყო ავტორისაგან მეტი ობიექტივობა ჩვენის ცხოვრების მოვლენათა აღნუსხვის საქმეში. ამას იქითაცაო, აქიდანვე გვაცხადებს „ახ. მიმ.“-ს „ომ.“-ი, სულ „ახალ“ ხმოსნების **„краснорѣчіе“**-ბით ვიქნები დაინტერესებული და „მომავალ სესიაში“ იმათზე ლაპარაკით გაგართობთო. ვნახოთ, რაგვარ **„ОТЗЫВЪ“**-ებს გვაღირსებს დღეს ჩვენში მობინადრე და „ჩვენიანთაგანი“ ბ-ნი „ომ“-ი…

ბოდიშს ვიხდით მკითხველთან, რომ ქუთათურ განახლებულ საბჭოს გამო წერილი გაგვიჭიანურდა. 1 და 2 ივლისის სადებიუტო კრება და მაზედ მუსაიფი, ახლად თავშეყრილ „მამებისა“ ღირსი იყო ვრცლად მოხსენებისა.

ისო.

—

რიონ-გაღმის კუთხიდგან.

ყოვლად-უსამღვდელოესის იმერეთის ეპისკოპოზის ლეონიდის მობრძანება.—წლიური გამოცდა მოსწავლეებისა ტობანიერის ორ-კლასიან სამინისტრო სასწავლებელში.—ტობანიერის საზოგადოების განაჩენი ქურდების გადასახლების შესახებ და მათ მიერ უარის თქმა გადასასახლებელ ხარჯის გადახდისა.—ციმბირიდგან გამოპარულის ფარსადან ბუბუტეიშვილის დაჭერა.—კრება ს. ამაღლების მეორე-კლასიან სამრევლო სკოლის შესახებ და მისი ბედ-იღბალი.—გადაწყვეტილება მთავარ-მართებლისა „საბჭის“ იარმუკის გადატანის შესახებ ს. ვანში („ურიებში“).—სიმინდის და ღვინის გაძვირება, ამინდები და ახალი მოსწავლის ბედი.—პარკის „სეზონი“, ს. ბზვანში სამკითხველოს დაარსება.—ვანის მეაფთიაქეს უეცრად გადაცვალება.

ივნისის პირველ რიცხვებში ჩამობრძანდა ეკკლესიების და მრევლის დასათვალიერებლად ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი, ეპისკოპოზი იმერეთისა; მას ახლდნენ ქუთაისიდგან საკათედრო ტაძრის ბლაღოჩინი ნესტორ შავგარაძე. აქ დახვდნენ მას ბლაღოჩინები მახიძე, მამფორია, მჭედლიძე და მამასახლისები. ყოვლად-სამღვდელოს მობრძანებამ მეტად გაახარა ყველა, დიდი და პატარა, მამაკაცნი და დედაკაცნი; ყველა მხიარულად მიეშურებოდა ეკკლესიისკენ, რათა ენახათ ეპისკოპოზი და თან მოესმინათ მისი ტკბილი მოძღვრება. ეკკლესიისა და მის ნივთების დათვალიერების შემდეგ, ყ.-ს.-სამღვდელო ყველგან მიჰმართავდა ხალხს სიტყვით, ყველგან ქადაგებდა სიყვარულს ღვთისადმი, ურთი-ერთისა და ქვრივ-ობლებისადმი, მშვიდობასა და წესიერებას ყველგან და ყველაფერში. რომელ სამრევლოშიაც მის მეუფებას ეკკლესია არ მოეწონა ან სიპატარავის გამო, ან სიბნელისა და მოუწყობლობის გამო, ყველგან სთხოვდა ხალხს შესდგომოდნენ ამ ნაკლის გასწორებას. კარგს ვითარებაში დახვდა და მოეწონა მას ბევრი ეკკლესიები, მაგ., გუშუბოურის, ბზვანის, დვალიშვილების და სხვა; დვალიშვილების

---

*) იხ. „ივერია“ № 145.

[1] (საბჭოს უკანასკნელი კრება, რომელზედაც ქალაქის თავის მოადგილე თავმჯდომარე ა. ფიფინოვი აირჩა, მოხდა ორი დღის წინად, 28 ივნისს, თან შემდეგი ორი დღე უქმეები იყო, მაგრამ ამავე მიზეზით მისი დამტკიცებაც მოასწრო საკრებულომ 1 ივლისისათვის).

[2] „სხვა მოტივების“ მითითებაზე კალისტრატემ ენერგიული პროტესტი განაცხადა და სთქვა, ამის მთქმელს არავითარი უფლება არ აქვს სხვის სულსა და გულში ხელი უბრალოდ აფათუროსო. ამის საბუთები, მადლობა ღმერთს, დღეს მაინც არავისათვის მიგვიცია. აქ ძალდატანებით საქმის გატანას როდი უნდა ვცდილობდეთ, არამედ თავისუფლად საკითხის გამორკვევა უნდა გვაინტერესებდეს. ძალდატანება რა საჭიროა: ყველამ თავისუფლად გამოვსთქვათ ჩვენი აზრი. მადლობა ღმერთს, დღეს პარტიობა ხომ მოისპო და მაშ რიღასი და ვიღასი შიში გვაქვს. მხოლოდ ერთი კია, რომ აგერ 12 საათია და ხმოსნები უკვე დაიღალნენ. ესეც ერთი საბუთია, რომ დღეს კრება გადაიდვასო.

[3] ახალგაზდა ექიმს, ეტყობა, მეტად გაუადვილებია ამა თუ იმ საზოგადო სამოღვაწეო ასპარეზზედ გამოსვლის საკითხი და ვწუხვართ, რომ იგი ადრე არ მოევლინა ქუთაისს, რომელიც, როგორც ზევით ვთქვით, მუდამ კაცების ძებნაშია.

ეკკლესიის მღვდელს საბაშვილს და მის მრევლს მადლობა გამოუცხადა ეკკლესიის კარგად მოწყობისათვის. მეტად ესიამოვნა მის მეუფებას, რომ დვალიშვილების ეკკლესია სავსე დაინახა ხალხით. არავინ არ დარჩენილიყო ოჯახში, ყველა ეკკლესიაში მოსულიყო სალოცავად. ს. დვალიშვილებში დარჩა ყოვლად-სამღვდელო თავის კრებით ერთი დღე და ღამე; მან დაათვალიერა აქაური გოგირდის აბანოები, რომელიც ძალიან მოეწონა. სამს ივნისს მისი მეუფება ეწვია ტობანიერის ორ-კლასიან სამინისტრო სასწავლებელს; მოსწავლეები რიცხვით 160 კაცი იყვნენ მწკრივად დაყენებულნი სასწავლებლის ეზოში და თავიანთი მასწავლებლებით ელოდებოდნენ ყოვლად-სამღვდელოს; დილის ცხრა საათზედ მისი მეუფება მობრძანდა ცხენით სასწავლებლის ეზოში, სადაც მას მიეგება ზედამხედველი სასწავლებლისა მასწავლებლებითურთ; ლოცვა-კურთხევის მიღების შემდეგ, ზედამხედველმა მიიწვია მისი მეუფება სამასწავლებლო კლასებში. ყ-დ-სამღვდელომ დაათვალიერა ყველა კლასები, გამოსცადა მოსწავლეები, შემდეგ აკურთხა მოსწავლენი, დაურიგა თავის ხელით ყველას ჯვრები და თერთმეტის ნახევარზედ წაბრძანდა ეკკლესიაში. 9 ივნისს საზოგადოების თხოვნისამებრ ყოვლად-სამღვდელომ სწირა ამაღლების ეკკლესიაში, სადაც დაბარებული ჰყავდა იმ დღისათვის ქუთაისიდგან კრებული; შემდეგ გამოსცადა ამაღლების სკოლის მოსწავლენი და ივნისის 10-ს წაბრძანდა სვირისაკენ.

—

14 და 15 ივნისს ტობანიერის ორ-კლასიან სამინისტრო სასწავლებელში მოხდა წლიური გამოცდა იმ მოსწავლეებისა, რომელთაც უნდა დაემთავრებინათ კურსი. გამოცდილ იქმნენ მოსწავლეები სამღვთო სჯულში, რუსულ და ქართულ ენებში, არითმეტიკაში, გეომეტრიაში, ისტორია-გეოგრაფიაში, ბუნების-მეტყველებაში და წერაში. სწავლა დაამთავრა სულ შვიდმა კაცმა, რომელთაგანაც ოთხმა განაცხადა სწავლის გაგრძელების სურვილი სხვა-და-სხვა სასწავლებლებში.

—

ამას წინად ტობანიერის საზოგადოების გლეხებმა სამტრედიის ბოქაულის იაშჩენკოს თანადასწრებით დაადგინეს განაჩენი გადასახლებულ იქმნას ციმბირში შვიდი კაცი, რომელთაც ბრალდებოდათ მრავალის შინაურ საქონლის მოპარვა; განაჩენის დადგენისათანავე ბოქაულმა დამნაშავენი ყველანი დააპატიმრა და შემდეგ გადასცა ბ-ნ ქუთაისის მაზრის უფროსს. დაპატიმრებულთა მშობლებმა და ნათესავებმა განაცხადეს საჩივარი ქუთაისის გუბერნატორთან, რომ, ვითომ, ბოქაულმა უმეტეს ნაწილს საზოგადოებისას ძალით მოაწერინა ხელი განაჩენზედაო; ამ საქმის გამოძიება მთავრობამ მიანდო მაზრის უფროსის თანაშემწეს შტაბს-კაპიტანს ბ-ნ ბლოტკაუერს, რომელიც მობრძანდა სამტრედიის ნაწილის ბოქაულთან ერთად, მოახდინა მთელი საზოგადოების კრება, გამოჰკითხა ხალხს და განაჩენი კანონიერად შედგენილი აღმოჩნდა. შემდეგ კიდევ დაეკითხა, თანახმა არიან ამ განაჩენისა თუ არა; ხალხმა თანხმობა განაცხადა; ბოლოს მაზრის უფროსის თანაშემწემ გამოუცხადა ხალხს, რომ ამ შვიდი კაცის გასაგზავნი ხარჯები, აგრეთვე მათის ცოლ-შვილისაც, უკეთუ უკანასკნელნი ისურვებენ ციმბირში წაყოლას, მთლად საზოგადოებამ უნდა გადაიხადოსო. ამის გაგონებაზედ მოხდა ხალხში ერთი აურ-ზაური, ხმაურობა, ჩხუბი და, ბოლოს, უმეტეს ნაწილმა უარი განაცხადა და უპასუხა მთავრობას: „ჩვენ მოგცეთ ხელში ქურდები, გაგზავნა-კი თქვენი საქმეაო.“ მაზრის უფროსის თანაშემწემ ეს გარემოება მოახსენა უმაღლეს მთავრობას და დამნაშავენი ყველა განათავისუფლეს პატიმრობისაგან და გადასცეს გამომძიებელს.

—

ამ ერთის წლის წინად ტობანიერის საზოგადოებამ ქურდობის გამო განაჩენით გადაასახლა ციმბირში გლეხი ფარსადან ბუბუტეიშვილი. ბუბუტეიშვილმა მოახერხა ციმბირიდგან გამოპარვა და აგერ თითქმის ექვსი-შვიდი თვეა იმალებოდა თავის სახლში. პოლიციამ ვერ მოახერხა მისი დაჭერა. სამტრედიის ბოქაულს გაეგო, რომ ფ. ბუბუტეიშვილს ჰქონია მთავარ-მართებლისათვის თხოვნა მიცემული ვადის შემცირების თუ განთავისუფლების შესახებ და მოსწერა ტობანიერის საზოგადოების მამასახლისს, გამოუცხადოს ბუბუტეიშვილის ცოლ-შვილს, რომ ფარსადანს ეპატია სასჯელი და ნება აქვს იცხოვროს თავის სამშობლოშიო; ბუბუტეიშვილმა, გაიგო-რა ეს, მართალი ეგონა და თავისუფლად დაიწყო სეირნობა მეზობლებში; არ გასულა სამი დღე, ბოქაულის გამოგზავნილმა კაცებმა დაავლეს ბუბუტეიშვილი და წაიყვანეს სამტრედიაში, საიდგანაც ის ყარაულს ქვეშ წარუდგინეს ბ-ნ ქუთაისის მაზრის უფროსს.

—

ამას წინად ამაღლების სამრევლო სკოლაში მობრძანდა იმერეთის ეპარქიის მეთვალყური მღვდელი მ. კელენჯერიძე და მოახდინა კრება. კრებას დაესწრო ყველა, განურჩევლად წოდებისა; მეთვალყურემ გამოუცხადა ხალხს, რომ უკეთუ ისინი ივლისის პირველ რიცხვამდე არ წარადგენენ სამოსწავლო საბჭოში მათზედ დარჩენილს შეწირულ 1300 მანეთს, სკოლა დახურულ იქმნებაო. ხალხმა აღუთქვა, პირველ ივლისამდე უსათუოდ წარმოვადგენთ და მართლაც ორის კვირის შემდეგ გაგზავნეს 700 მანეთი, დანარჩენი-კი მალე უნდა წარადგინონ. თუ ხალხმა შეასრულა დანაპირი, მთავრობა სკოლის შენობის დაწყებას აპირებს, წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლა დახურულ იქმნება.

—

აგერ თითქმის 6 წელზედ მეტია, რაც ვანის საზოგადოებაში, „საბეგას“ დაარსდა ბაზრობა და კიდევაც არსებობს; ვანელებს უნდოდათ ბაზარი „ურიებში“ ყოფილიყო და ასტეხეს ამაზედ საჩივარი, რომელმაც ბოლოს სენატამდე მიაღწია. ამგვარად ეს ექვსი წლიწადი ვანელებმა სულ საჩივარში გაატარეს, ბოლოს, როგორც იქმნა, ვანელები ეღირსნენ გადაწყვეტილებას. ამ დღეებში მათ მოუვიდათ მთავარ-მართებლისაგან განკარგულება, რომ ბაზარი გადატანილ იქმნას „ურიებში“. ყველას მეტად ესიამოვნა ეს ამბავი, მაგრამ საქმით როდის განხორციელდება, ვინ იცის. ამ დასადასობამ აურებელი ხარჯი მოითხოვა და, ვაი თუ ბაზარი „საბეგას“ მოიშალოს და აღარც „ურიებში“ გაჩნდეს და მაშინ-კი უნდა დაამღერონ: „შენც წახდი, მეც წამახდინე, ქრისტე აღსდგა, გახარდნენ.“

—

მეტად გაძვირდა აქეთ სიმინდი და ღვინო: დღეს ფუთი სიმინდი 90 კ. ღირს, როდესაც წინად 40 კ. ღირდა, ღვინო-კი ორის მანეთის მაგიერ ჩაფი 4 მანეთად იყიდება. ნახევარი მცხოვრებლებისა სიმინდს ყიდულობს, მაგრამ გასაყიდსაც ვეღარ შოულობს; ამას თან დაერთო უფულობაც და ხალხი დაიხოცებოდა შიმშილით, რომ პარკიდგან შემოსული ფული არ მოსწრებოდათ. ამინდები კარგი სდგას, თავ-თავის დროზედ წვიმაც მოდის, რის გამო სიმინდის ყანები ჯერ კარგი გვაქვს და მოსავლისაც კარგს გვიქადის.

—

დამდეგ მაისიდგან მოაწყდა ჩვენ კუთხეს პარკის ვაჭრები: სომხები, თათრები, ბერძნები, ხოხოლები და თან აქაური წვრილმანი ვაჭრები, მედუქნე-ხარაზ-მეფუნთუშეები. ყველას აუშალა სადღერელი ოქროს ხუთ მახათიანებმა. ქალები თავის ნაშრომ პარკს მამაკაცებს ვერ ანდობდნენ და ისინიც ესწრებოდნენ გაყიდვას. შეიქმნა მოძრაობა ქალებისა, ხალხისა. გაიხსნა ფული, გამხიარულდა გულ-დათუთქული ხალხი, გაიმართა წელში და გადმოპრაწყეს თვალები. პარკის ფასი პირველად 12 მანეთი გამოცხადდა ფუთზედ, ბოლოს 14 მანეთს გადააჭარბა, შემდეგ 13-ზე დავარდა. ამ გვარად ორი კვირის შემდეგ გათავდა პარკობა. აწ „ტყემალ-გავწარახის სეზონი“ დაუდგება აქაურს ქალებს.

—

ს. იზვანში აგრაფენა ჭალაგანიძისა, სტუდენტის სვ. ჭოლოკაშვილისა და სხვათა თაოსნობით იხსნება სამკითხველო. ყოვლად-სამღვდელო ლეონიდმა ახლად გახსნილ სამკითხველოს შესწირა ოცი მანეთი, რომელიც გადაეცა სტუდენტს სვ. ჭოლოკაშვილს; ამას გარდა, შეაგროვეს კიდევ 40 მანეთამდე. ეხლა ნება-რთვას თხოულობენ და თან სამკითხველოს ბინა უნდა უშოვონ. მეტად საჭიროა, რომ სამკითხველოს კარგი ბინა შოუძებნოთ. იმედია, დამაარსებლები ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევენ და სამკითხველოს კარგად მოაწყობენ თავიდგანვე.

—

ს. ვანში 19 ივნისის ღამეს უეცრად გარდაიცვალა აფთიაქარი მოსე სავიცკი, რომელიც, აგერ შვიდი წელიწადია, ჩვენს კუთხეში სცხოვრებდა. ის იყო იტალიიდგან, ეროვნებით რუს-პოლონელი, მაგრამ ისე შეეჩვია ჩვენს ჩვეულებებს და ხალხს, რომ ამ ბოლო დროს ფიქრობდა მართლ-მადიდებლობა მიეღო; საქმელ-სასმელს და ყოველსავე ჩვეულებას [illegible] მისდევდა. იყო მეტად პატიოსანი, გულკეთილი და მშვიდობიანი კაცი, წლოვანებით 31 წლისა. ყოველივე ამ კუთხის საქველ-მოქმედო დაწესებულებაში ის მონაწილე იყო, უყვარდა ქართულ-გაზეთების კითხვა და ქართული ენაც კარგად შეისწავლა. ყველანი, განურჩევლად წოდებისა, შეაწუხა მისმა უდროოდ სიკვდილმა. განსვენებული ხშირად ღარიბებს ნახევარს ფასად უთმობდა წამლებს და ბევრს თავის ფულითაც შველოდა ხოლმე. 20 ივნისს დაასაფლავეს ვანის ებრაელების სალოცავის ეზოში; მის დასაფლავებას დაესწრო ყველა მისი ნაცნობი.

ვლადო ბზვანელი.

უცხოეთი

ინგლისი. ერთი ნაწილი ლონდონის გაზეთებისა ჰიქს ბიჩის სამსახურიდგან გასვლას უფრო საყურადღებოდა სთვლის, ვიდრე ლორდ სოლსბერის გადადგომას.

გაზეთ „Daily Telegraph“-ის საპარლამენტო კორესპონდენტის აზრით ჰიქს ბიჩის გასვლას უფრო საგრძნობელი შედეგი მოჰყვება, ვიდრე ზოგიერთნი ჰგონებენო. ყველამ ვიცით, რომ ჰიქს ბიჩი თავისუფალ ვაჭრობის მომხრე იყო, მაშინ როდესაც ჩემბერლენი მფარველობით პრინციპს იცავდაო.

ჩემბერლენმა გაიმარჯვა და დიდ ცვლილებასაც უნდა მოველოდეთ ამ გამარჯვების წყალობითაო. იმპერიალისტთა გაზეთის „Daily Mail“-ის აზრით, ჩემბერლენი რომ ფინანსთა სამინისტროს ჩაუდგებოდეს სათავეში, კარგი იქნებაო და მგონი თვით ჩემბერლენიც ამას ოცნებობსო. „Daily News“-ი ამბობს, თუ ჩემბერლენს სახაზინო კანცლერობა ჩაუვარდა ხელში, ეს მომასწავებელი იქნება საოცარის საპოლიტიკო ბრძოლისა, ისეთის ბრძოლისა, როგორიც გლადსტონის დასის ჰომრულის სასარგებლოდ გალაშქრების შემდეგ ინგლისს აღარ უნახავსო.

უეჭველია, ჩვენს მკითხველებს მოეხსენება, რომ ინგლისში სახელმწიფოს ქაბრაკს პირველი მინისტრი ატრიალებს; მეფე მხოლოდ მეფობს, სახელმწიფოს-კი პირველი მინისტრი განაგებს. ამისათვის მეტი არ იქნება, მკითხველებს გავაცნოთ ახალი პრემიერი—ბალფური.

არტურ ჯემს ბალფური დისწულია ლორდ სოლსბერისა; დაიბადა 1848 წელს; განათლება მიიღო კემბრიჯის უნივერსიტეტში; 1874 წელს გერტფორდის ოლქმა აირჩია თავის წარმომადგენლად საზოგადოებათა პალატაში. 1875 წ. ქალ. მანჩესტერმა აირჩია დეპუტატად. 1878 წ. სოლსბერიმ (მაშინ გარეშე საქმეთა მინისტრად იყო) თავის პირად მდივნად აიყვანა და მეტად საძნელო საქმეებიც მიანდო ბერლინის ხელშეკრულობის დადების დროს. ბიძამაც ხელი მოუმართა და ახალგაზდა ბალფური მალე დაწინაურდა: 1885 წ. მიიღო სოლსბერის კაბინეთში ადგილობრივ გამგეობის დეპარტამენტის პრეზიდენტობა. ერთის წლის შემდეგ შოტლანდიის საქმეთა მინისტრობა. კიდევ ერთის წლის შემდეგ—ირლანდიის საქმეთა მინისტრობა. 1892 წ., ვ. სმიტის გარდაცვალების შემდეგ, იგი გახდა მეთაური (ლიდერი) კონსერვატიულ დასისა და პირველი მინისტრი ხაზინისა. 1898 წელს, ლორდ სოლსბერის ავადმყოფობის გამო, კარგა ხანს განაგებდა გარეშე საქმეთა სამინისტროს, და დღეს მისი ადგილიც დაიჭირა.

ასეთია ბალფურის ბიოგრაფია. ბევრად უფრო საყურადღებოა მისი პირადობა. იგი—არისტოკრატია, თანაც „მართლ-მორწმუნე ტორი“ (კონსერვატორი), მაგრამ ისეთი რეტროგრადი არაა, როგორც ბიძა მისი სოლსბერი იყო. „პოლიტიკაში დილეტანტიაო“ (ე. ი. ჩვენებურად რომ იტყვიან—ლობე-ყურეს ედებაო) და, უნდა გამოვტყდეთ, არც უსაფუძვლოა ეს აზრი მართლაც დავუკვირდეთ ბალფურის საქციელს საზოგადოებათა პალატაში, გვგონებათ, რომ ის მაინცა და მაინც პოლიტიკით არაა გატაცებული. თავს უკან გადიგდებს, გრძელს ფეხებს წინ წამოსჭიმავს და მიაშტერდება ჭერს; ასე გგონიათ, სრულებით არ ეინტერესება, რასაც ლაპარაკობენო. კარიკატურაშიაც სწორედ ასეა ხოლმე გამოყვანილი. ერთი გაზეთი ამბობს, რომ ბალფური ისეთის კაცის შთაბეჭდილებას ახდენს, რომელიც მხოლოდ დასვენებაში ჰპოვებს ნეტარებასაო. საზოგადოებათა პალატაში სწორედ დამჯდარი ის არავის უნახავს. ძნელად წარმოსადგენია, რომ მან გამუდმებით რამდენიმე საათი იმუშაოს. სოლსბერს, როზბერს და ჩემბერლენს შეეძლოთ მთელი ღამეები გაეტეხათ რაიმე წვრილმანის გამო, მაგრამ ახალი პრემიერი-კი ამას ვერ შესძლებს. პოლიტიკა მისათვის—არც ხელობაა და არც ცხოვრების საქმე, არამედ საინტერესო შრომა. მას ეხალისება ბრძოლა და ცხარე კამათი, რადგან თავის მახვილის გონების წყალობით ყოველთვის გამარჯვებული რჩება. ცხოვრებაში მეტად დაუდევარი და სათნო კაცია. დიდი სკეპტიკია; პატივ-მოყვარეობისა სრულებით არა აცხია-რა. დარდი არა აქვს, რაც უნდა ილაპარაკონ მის შესახებ; გაზეთებს თითქმის სულაც არ კითხულობს. სადა ლაპარაკი უყვარს და მსმენელის ყურადღებას სავსებით იპყრობს. სიტყვა მოსწრებულია, მაგრამ იმდენად ბუნებრივია მისი სიმახვილე, რომ თითონაც ვერ ამჩნევს; ხშირად მომხდარა, რომ მის მოსწრებულს სიტყვას ხარხარი აუტეხია პალატაში და მას-კი გაკვირვებით დაუწყია აქეთ-იქით ყურება, მე ხომ არ დამცინიანო. პრემიერს გატაცებით უყვარს ველოსიპედით სიარული და სხვა-და-სხვა გასართობი. ამას წინად მოუგონეს, პალატის სხდომები ისე გაანაწილაო, რომ ბურთის სათამაშო დროც დაიტოვაო. ისეთი მოყვარული და გულ-კეთილია, რომ პარლამენტში იგი ყველას უყვარს და პატივსა სცემენ. სოლსბერის-კი პატივსა სცემდნენ, მაგრამ არ უყვარდათ. ბალფურს ბევრი ისეთი მეგობარი ჰყავს, რომელნიც პოლიტიკაში მისი მოპირდაპირენი არიან.

ბალფური გატაცებულია ფილოსოფიით. მას რამდენიმე შესანიშნავი თხზულებაცა აქვს დაწერილი ფილოსოფიურს თემაზედ. ამ ჟამად იგი ედინბურგის უნივერსიტეტის კანცლერად ირიცხება. წინად წმ. ანდრიასა და გლაზგოს უნივერსიტეტების ლორდ-რექტორად ითვლებოდა. დიდი ქონების პატრონია—88,000 აკრი საკუთარი მიწა აქვს. ბალფური უცოლ-შვილოა.

სამხრეთ-აფრიკა. ერთი სამსახურს გარეშე მყოფი ინგლისელი ოფიცერი, კარგი მცოდნე სამხრეთ-აფრიკისა, შემდეგს მოგვითხრობს ბაზუტოსთა ქვეყნის შესახებ:

ბაზუტოსები ერთად-ერთი ხალხია სამხრეთ-აფრიკაში, რომელსაც საუცხოვოდ დაუცავს თავისი სამხედრო ორგანიზაცია. მათი რიცხვი 300,000-მდეა და 60,000 კაცის გამოყვანა შეუძლიანთ ბრძოლის ველზედ. ცხენები საუცხოვო ჰყავთ, ცხენოსნობაში იშვიათად შეედრება მათ ვინმე. სათარეშო ომში ბადალი არა ჰყავთ. სიფარ-სანგლების კეთება მშვენივრად აქვთ შესწავლილი. მათ შეიმუშავეს სრულებით განსაკუთრებული ტაქტიკა, რომელსაც „ბაზუტოსთა ტაქტიკა“ ეწოდება.

ამასთანავე ბაზუტოსებს იმით მოაქვთ თავი, რომ მთელს აფრიკაში მხოლოდ მათ შესძლეს ინგლისელთა დამარცხება. 1880 წელს კაპის ახალშენის გუბერნატორმა რკინის გზის გაყვანის დროს ბაზუტოს მუშებს ქირის მაგივრად თოფები დაურიგა; შემდეგში-კი მიხვდა თავის შეცდომას, მაგრამ „წამხდარსა საქმეს რას არგებს მერმე-და თითზედ კბენანი“.

ავსტრია-უნგრეთი. როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, გერმანიამ შეუბრალებელი ეკონომიური ბრძოლა გამოუცხადა პოლონელებს; არავითარს საშუალებას არა ჰზოგავს, რომ როგორმე ხელიდგან გამოაცალოს მიწა-წყალი,—ეს აკვანი ეროვნულის არსებობისა. რასაკვირველია, არც პოლონელები არიან გულ-ხელდაკრეფილნი და, როგორც შეჰფერის გონებითაც და ქონებითაც ძლიერს ერს, ისე ეწინააღმდეგება გერმანელებს. ყოველს მათ-და საზარალოდ მიმართულს მთავრობის განკარგულებას კრიჭაში უდგანან: ჯერ-ჯერობით ვერც ერთმა განკარგულებამ ვერ გაიმარჯვა, ყველანი გააბათილეს.

რომ გააღვიძონ, უფრო ასწიონ ეროვნული შეგნებულობა და გაამხნეონ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს თანამემამულენი, პოლონელებმა განიზრახეს დაენახვებიათ ქვეყნისათვის, „რა ვიყავით, ეხლა რა ვართ“-ო?! ცხოვრება ცვალებადია, ერთი დრო არავის შერჩენია და არც შერჩებაო. ჩვენც ხალხნი ვართ და ქუდი გვხურავსო. ჩვენ წარსული სხვისაზედ ნაკლები არა გვქონია და მომავალში რად უნდა დავეჩაგრნეთო? სწორედ ეს აზრი ჰქონდა სარჩულად იმ ბრწყინვალე დღესასწაულს, რომელიც 30 ივნისს გამართეს ლვოვში გრიუნვალდენის 1410 წელს მომხდარ ომის წლის თავზედ; ეს დღესასწაული ნამდვილი გერმანელების საწინააღმდეგო დემონსტრაცია იყო.

დილით ადრევე დაიწყო სხვა-და-სხვა მანიფესტაციები: ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ მუსიკანი და ეროვნულ ხმებს უკრავდნენ; ქალაქის საბჭოს კოშკზედ მთელი ორკესტრი იდგა მუსიკისა და უკრავდა პოლონელ კომპოზიტორთა საუკეთესო თხზულებებს. ქალაქს გარედ ზარბაზნებს გაჰქონდა გრიალი; სახლები ეროვნულ ბაირაღებით იყო მორთული. ყველა ფანჯრებზე (ტრამვაის ფანჯრებზედაც-კი) გაკრული იყო ფურცლები წარწერით: „წლის თავი ტევტონთა ორდენის დამარცხებისა“. ასეთსავე ფურცლებს ასი-ათასობით ჰყიდდნენ ქუჩებში საქველ-მოქმედო აზრით. ყველა წრეები შეერთდნენ, სოციალ-დემოკრატნიც მათ მიემხრნენ და ერთად იწყეს სიარული. ჯერ საკათედრო ტაძარში მივიდნენ და ქადაგება მოისმინეს. წირვა გადაიხადეს აგრეთვე მართლმადიდებელსა და სომხების ეკკლესიებშიაც. საერთო სურვილს არც ებრაელთა თორამ უღალატა: იქაც იყო ლოცვა. ქალაქის თეატრში არქივარიუსმა ჩელოვსკიმ გრიუნვალდენის ბრძოლის შესახებ ლექცია წაიკითხა, და შემდეგ მეფე იაგელლოს ბიუსტი გვირგვინით შეამკეს. აქვე იმღერეს პოლონური ეროვნული სიმღერები; მანდილოსნები იმ პოლონელ ბავშვთა აღსაზრდელად, რომელნიც პოლონურ ქვეყნებში არა სცხოვრობენ, შემოწირულებას ჰკრებდნენ. საზოგადო დაწესებულებათა შენობებში და მოედნებზედ ჯარი იდგა, რომ იმპერატორ ვილჰელმისა და გერმანიის საწინააღმდეგო მანიფესტაციები არ მოეხდინათ. თავის მხრივ ქალაქის საბჭოს წევრნი, რეიხსტაგისა და ლანდტაგის დეპუტატნიც აშვიდებდნენ საზოგადოებას, რომ შეტაკება არსად მომხდარიყო. ამიტომაც მანიფესტაციებმა მშვიდობიანად ჩაიარა. საღამოზედ ეროვნულ თეატრში სადღესასწაულო წარმოდგენა გაიმართა; სტუდენტები-კი ხალხს ლექციებს უკითხავდნენ გრიუნვალდენის ბრძოლის შესახებ.

ასეთისავე ამბით იდღესასწაულა ეს პოლონელებისათვის ღირს-სახსოვარი დღე გალიციის ყველა ქალაქებმა.

გრიუნვალდენის ბრძოლა, რომელშიაც პოლონელებმა დაჰხოცეს 40,000 [illegible] ტყვედ წაიყვანეს 15,000 გერმანელთა [illegible], მეტად ხელოვნურადა აქვს აწერილი პოლონელთა შესანიშნავს რომანისტს გენრიხ სენკევიჩს თავის თხზულებაში „ჯვაროსნები“.

— უნგრეთის გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა, ვითომც სრულიად იმპერიის ფინანსთა მინისტრი კალლაი სამსახურს თავს ანებებდეს, სიმართლეს მოკლებულია. მინისტრი ავად იყო და სწამლობდნენ; ეხლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, მინისტრი სრულებით გამოსალდა და მალე შეუდგება თავის სამსახურს.

სხვა-და-სხვა წერილები

ზარზმის მონასტერი.

საფრანგეთში ცხოვრებისას ვაქცევდი ყურადღებას იმას, თუ რა მზრუნველობით და სიყვარულით ეპყრობიან ფრანგები თავიანთ სიძველეს, ნაშთებს და ძეგლებს. რაგვარ უყვართ იქ ძველი მონასტრები და ციხე-კოშკები და რა ხაირად უფრთხილდებიან მათ! ვხედავდი-რა მისთანა მზრუნველობას ძველ ძეგლებისადმი, უნებლიედ ვიგონებდი ჩვენს კავკასიას დიდის წარსულით.

ჩვენი კავკასიაც შემკულია მრავალ [illegible] ნაშთებით ჩვენის ისტორიულის წარსულისა, ნაშთებით, რომელნიც უნდა შეადგენდნენ ყოველ გონიერ კაცის სიამაყეს. იგი დრო წარვიდა, გარნა მისი სახსოვარი უნდა დარჩეს, რჩება კი?!

საფრანგეთის ნაშთები დაცულია დანგრევისაგან, დიდის ყურადღებით მოვლილია და დიდის მოწიწებით ეპყრობიან მათ სიძველეს, ჩვენში-კი?! ჩვენში სულ სხვაა. უდიდებულესი ძეგლები, უმშვენიერესი ტაძრები და კოშკები, ძვირფასად ნაშენი ტყე-ღრეში, მიუვალ ადგილას, საცოდავს სახილველს და ყველასგან მივიწყებულ ქმნილებას შეადგენს.

დავბრუნდი-რა ზაფხულს სამშობლოში, მოვიწადინე თავისუფალი დრო მოვახმარო ძველ ნაშთების დათვალიერებას.

უწინარეს ყოვლისა ვნახე ზარზმის ტაძარი. ეს ტაძარი ახალციხის მაზრაშია, კობლიანის წყლის ხეობაში და მოშორებულია ახალციხეს 32 ვერსით.

დღეს [illegible] აახლებს ამ მონასტერს რუსის ხუროთ-მოძღვრების ზედამხედველობით. მის ეკკლესიის ძველებურ მხატვრობას ახლებს პეტერბურგელი მხატვარი ი. სლავცოვ. რამდენადაც შემიძლიან დავასკვნა, საქმე ცოდნით და სიყვარულით სრულდება. მხატვრობის აღსადგენად უწინარეს ყოვლისა სწმენდავენ კირს, რომელიც [illegible] მოუცხიათ ოსმალებს. საზოგადოდ, ზარზმაში კარგად შენახულა ძველი მხატვრობა, თუმცა-და ზოგიერთი მათგანი დაზიანებულა. ამ დაზიანებულთა აღდგენა ძნელი საქმეა, მით უმეტეს, რომ ი. სლავცოვმა არ იცის არც ადგილობრივი ენა, არც ისტორია და არც აქაური ზნე-ჩვეულება, და ყველა ამას იგი ეცნობება დღეს ადგილობრივ. მეტად უჭირდება მას ქართული წარწერების აღდგენა. საჭიროა ამ მხრივ შემწეობა და ერთი შემწეობა-კი არ სჩანს. საქართველოს უძველეს ძეგლების აღდგენას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ყველა კავკასიელთათვის, ხელოვნურ-ისტორიულის მხრივ, რამდენს ბნელს მხარეს წარსულისას გააცოცხლებს მისი აღდგენა! ცნობა წარსულისა-კი მომავლის გამოსაცნობი წიგნია.

ამიტომაც, ვგონებ, ყველა ქართველთ ჰმართებდათ დიდი ყურადღება მიექციათ ზარზმის განახლების საქმისათვის და, შეძლებისა-და-გვარად, შეეწიოთ [illegible] ამ ძველ ნაშთის განმაახლებელთათვის. განახლების დროს საჭირო იყო დასწრებოდა მცოდნე ქართულ ენისა, ისტორიისა, მხატვრობისა და ხუროთ-მოძღვრებისა *)

ნუ-თუ არ გამოჩნდება არც ერთი ქართველი, რომ დაესწროს აქ დაწყებულ მუშაობას, აღდგენას ძეგლისას, რომელიც არის მოწმე საქართველოს ბრწყინვალე წარსულისა?!

ვ. ხუდადოვი.

ბიბლიოგრაფია

„ქეთო და სონა“. საყმაწვილო მოთხრობა ნატალია რ. გიგაურისა. 1901 წ. ქ. ქუთაისი.

ჩვენს მწერლობაში არა ერთხელ გამოთქმულა ის სამწუხარო აზრი, რომ ქართული საყმაწვილო ლიტერატურა მეტად ღარიბია, ჩვენს ბავშვებს ჰასაკის შესაფერი წიგნაკები არ მოეპოვება საკითხავადო. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ქართული მწერლობა საზოგადოდ განვითარების გზას ადგას. ამ უკანასკნელის ათი-თხუთმეტის წლის განმავლობაში ქართველების თვითცნობიერების საქმემ ჩვენის ლიტერატურის საშუალებით საგრძნობლად მოიკიდა ფეხი ხალხში; ქართულმა წიგნმა დღეს-დღეობით საკმაო ბაზარი მოიპოვა; ჩვენის ლიტერატურის მიერ აღმართული დროშა მივარდნილ და მიყრუებულ ადგილების ქართველ-

---

*) ტყუილად უსაყვედურებს ქართველებს პატივცემული ვ. ხუდადოვი. ქართველებს ხასიათად არა აქვთ შეეჩხირონენ იქ, საცა მიწვეულნი არ არიან. ბ-ნ სლავცოვს, თუ სურდა, ადვილად შეეძლო მიეწვია ქართველი მეცნიერები და მათის დახმარებით უფრო ზედმიწევნით აღედგინა მხატვრობაცა და წარწერებიც.

ლებსაც-კი იზიდავს თავისკენ, ჩვენის ლიტერატურის მიერ ამაღლებული ხმა უნაყოფოდ, „ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა„ აღარ რჩება. ლიტერატურას ცხოველმყოფელობა დაეტყო, ძალა და გავლენა მოიპოვა, რაიცა თვით ქართულის ლიტერატურის განვითარებით აიხსნება.

ქართული საყმაწვილო ლიტერატურა-კი კუს ნაბიჯით მიდოღიალებს განვითარების გზაზე. ქართველი ბავშვის ნორჩი გონება ვერ პოულობს თავისს დროზე შესაფერს განმავითარებელს მასალას და ამის გამო ჩვენი ახალთაობის სწავლა-აღზრდის საქმე მეტად ფერხდება. ამიტომ ყველა გონივრულად დაწერილი საყმაწვილო წიგნაკი დიდ შესამატად უნდა ჩაითვალოს ჩვენის ლიტერატურისათვის.

ჩვენც, ამ აზრით გამსჭვალულნი, დიდის სიამოვნებით მივეგებეთ ქ-ნ ნ. გიგაურის მიერ შედგენილს საყმაწვილო მოთხრობას: „ქეთო და სონა“-ს და გულმოდგინედ გადავიკითხეთ. სამწუხაროდ, ამ მოთხრობამ ჩვენი იმედები ვერ გაამართლა. მოთხრობა, ჩვენის აზრით, მეტად სუსტია. იგი ბავშვის გონებას ვერას შეჰმატებს, პირ-იქით, მეტ ბარგადაც გარდაექცევა.

მოთხრობის შინაარსი მეტად მარტივი, შაბლონური და თითქმის არაჩვეულებრივიცაა, რაშიაც მკითხველი ადვილად დამეთანხმება.

2) ათის წლის პატარა ქეთო, კარგის ოჯახის აზნაურშვილის ქალი, პირველად ხედავს სოფელს. სოფლის ცხოვრებას შეუჩვეველი ქეთო სცდილობს სოფლელებს დაუახლოვდეს, სოფლურად მოიქცეს. სოფლის დაფლეთილ-დაგლეჯილ ტანთსაცმელში გახვეული გოგოები ხარბის თვალით უყურებენ ქეთოს კოხტად შეკერილ კაბას და ფეხსაცმელებს. ქეთო ყველას სიყვარულით ეპყრობა, არავისაც არ უკადრისობს. რა ვუყოთ, რომ სოფლის გოგოები ცუდად ჩაცმულნი დადიან, განა, იგინიც ჩემისთანა ბავშვები არ არიან? ჰფიქრობდა ათის წლის ქეთო.

სოფელში ქეთო ყველაზე უფრო კარგად დაუმეგობრდა ამავე სოფლის მთავრიანთ თორმეტის წლის ქალს სონას. ქეთო და სონა ძრიელ შეეთვისნენ, დღე არ გავიდოდა ისე, რომ ერთმანერთი არ ენახათ. ყოველ დღე ახლად გაცნობილი მეგობრები კიდითი-კიდემდე მოივლიდნენ მთელს სოფელს, ერთობოდნენ სოფლის გოგო-ბიჭებთან, მხიარულობდნენ, თამაშობდნენ, ლეკურს უვლიდნენ. მაგრამ სონას და ქეთოს ამგვარს დროს გატარებას და მხიარულებას მალე ბოლო მოეღო. სწორედ სამი კვირა რჩებოდა ქეთოს ქალაქში წასვლამდე, როცა გულკეთილ სონას ახალგაზრდა, სულ ოც-და-ათის წლისა, დედა გაუხდა ავათ და მახლობელ სოფელში კიდევაც გადაეცვალა. დედის სიკვდილმა სონა დიდს მწუხარებაში ჩააგდო, მთელი დღე საბრალო ქალი ნაკადულებრ ცრემლებს აფრქვევდა და აუტანელის მწუხარებით იგონებდა თავისს უდროოდ გარდაცვალებულს დედას. ქეთო ამ მწუხარების დროს სონას არა ჰშორდებოდა, ანუგეშებდა თავის მეგობარს. ქეთომ ბევრის სხვა-და-სხვა გართობითა და ნუგეშის ცემით შეუმსუბუქა მწუხარება მეგობარს, შეაჩვია იგი თავის მწუხარე მდგომარეობას.

მეგობრები ზაფხულის გასულს ტირილით გამოეთხოვნენ ერთმანეთს. მას შემდეგ დიდმა ხანმა განვლო. სონა კიდეც გათხოვდა და ორი შვილიც მიეცა. გულკეთილი ქალი ხშირად ეკკლესიაში დადის, ლოცულობს დედისათვის და თავის ყმაწვილობის მეგობარს ქეთოსაც ავედრებს უფალს. ქეთო ახლაც თავმდაბალია, დაჩაგრულთ და დავრდომილთ შემბრალებელი. მეგობრებს სონას დედის გარდაცვალების შემდეგ ერთმანეთი არ უნახავსთ, „სონა ხშირად ნატრობს ქეთოს ნახვას და ქეთოც მალე აპირებს წასვლას იმ სოფელში, სადაც გატარებული დრო მუდამ სახსოვრად დარჩა.—უნდა ნახოს თავის სიყმაწვილის ამხანაგი.“

აი, დაწვრილებითი შინაარსი, ანუ უკეთ ვსთქვათ, ფაბულა, ქ-ნ ნ. გიგაურის საყმაწვილო მოთხრობისა. მკითხველი ადვილად შენიშნავდა, რომ მოთხრობის შინაარსი მეტად მარტივი და შაბლონურია, ბავშვის ნორჩ გონებას სრულიად არ დააინტერესებს მოთხრობის შინაარსის ასეთი სიმარტივე, სიღარიბე. ათის წლის პატარა ქალი მოდის სოფლად, ორი სამი თვის განმავლობაში სოფლის გოგო-ბიჭებთან უდარდელად დაცქრიალებს, უმეგობრდება თორმეტის წლის მთავრიანთ პატარა ქალს სონას, ანუგეშებს ამ უკანასკნელს დედის გადაცვალების დროს და შემდეგ ისევ ქალაქში ბრუნდება. საყმაწვილო მოთხრობების მწერალნი შინაარსს, ანუ ფაბულას, რომელზედაც აგებულია თვით მოთხრობა, დიდ მნიშვნელობას აძლევენ და ყოველთვის თავის მოთხრობებისათვის ისეთს ფაბულას ირჩევენ, რომელიც დააინტერესებს, გაიტაცებს ყმაწვილის ნორჩ გონებას და ბოლომდის წააკითხებს წიგნს. ქ-ნ ნ. გიგაურს ამ საგნისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია და ამის გამო—აბა, ვისთვის რა საინტერესოა, რომ ქალაქელი პატრა ქეთო ორი სამი თვით სოფლად გავიდა, აქ სოფლელ პატარა სონას დაუმეგობრდა და შემდეგ ქალაქშივე დაბრუნდა?

ფაბულის სიმარტივე არაა მაინცა და მაინც ისეთი ნაკლი, რომ მოთხრობას კაცმა სისუსტე და ულაზათობა უკიჟინოს, რადგან ზოგი ნიჭიერი მწერალი მარტივს ფაბულას ისე დააფერადებს, ისე ცხოველ-მყოფელად გახდის, რომ მოთხრობა ცხოვრების სულსა და გულში ჩაგახედებს, ყოველ-დღიურ ჭირსა და ვარამს გაგითვალისწინებს, ცხოვრების უტყუარ სინამდვილეს ერთიანად გადმოგიშლის. ამ მხრივ რომ შევეხოთ ქ-ნ ნ. გიგაურის საყმაწვილო მოთხრობას, იგი მეტად სუსტ და სრულიად სინამდვილეს მოკლებულ მოთხრობად უნდა ჩაითვალოს. საყმაწვილო მოთხრობას მაშინ ექნება ინტერესი პატარა მკითხველისათვის, მაშინ ექნება მისს ნორჩ გონებაზე გავლენა, როცა ამ მოთხრობაში ბავშვის ცხოვრება სინამდვილით იხატება, როცა მოთხრობაში გამოყვანილი ბავშვები ბავშვურის თვისებებით არიან დახასიათებულნი, როცა ბავშვები ბავშვობენ, ბავშვურად მსჯელობენ, ბავშვურად იქცევიან. თუ ეს პირობა არ იქმნა დაცული, საყმაწვილო მოთხრობა სინამდვილეს დაშორდება და თავის მნიშვნელობას დაჰკარგავს.

ქ-ნ ნ. გიგაურის მოთხრობაში ათი-თორმეტის წლის ქალები ფილოსოფიურად სჯიან და ბაასობენ, ან თითქო კათედრიდგან ლექციებს კითხულობენო. ათის წლის ქეთო უკვე ჭკუა დამჯდარი ქალია, მისი აზრი და შეხედულება ბევრს თანამედროვე ხანში შესულს და განათლებულ ქალსაც-კი, სამწუხაროდ, ვერ შეუთვისებია, და აბა, რა საფიქრებელია, რომ ათის წლის პატარა გოგონა, თუნდაც ქალაქელი, ასეთი გაბრძნობილი და დამჯდარ აზრების მქონე იქმნებოდა.

ყური დაუგდეთ, როგორ ალაპარაკებს ავტორი პაწაწინა ქეთოს: „რა ვუყოთ, რომ იმათ ღარიბად აცვიათ და მე კარგა ვარ ჩაცმული, ისინი ჩემისთანა ბავშვები არ არიანო? გარჩევა მხოლოდ იმაშია, რომ იმათ არა აქვსთ ფული, კარგად ჩაიცვან და, მერე, ამით განა უფრო შესაბრალისნი არ არიან? იმათი რა ბრალია, რომ ღარიბები არიან. ვითომ რატომ არ უნდა გავიარო იმათთან, რატომ არ უნდა ვითამაშო? როგორც უბრალო-უცოდინრები, თუ ცუდი სიტყვებით დაიწყებენ ლაპარაკს, მე ავუხსნი, რომ ქალაქში კარგი ბავშვები ეგრე არ ლაპარაკობენ, ზრდილობიანები უნდა იყვნეთო“... მეორე ადგილას ქეთო სოფლელ გოგოებს არწმუნებს: „რას გიკვირთ, მეც ხელები მაქვს და თქვენისთანა ადამიანი ვარ, რატომ მე არ უნდა ვიმუშაო?“ განა, დასაჯერებელია, რომ ათის წლის ქალი ასე ლოგიკურად მსჯელობდეს, ასეთის სწორის შეხედულებისა იყოს ცხოვრებაზედ. ბავშვი ყოველთვის ბავშვია და ბავშვურად მსჯელობს. ასეც უნდა იყოს და, თუ ზოგჯერ მოთხრობებში წინააღმდეგს ვხედავთ, ეს ავტორების ბრალია, რომელთაც არ იციან, როგორ ათქმევინონ თავიანთი აზრი მოთხრობების პატარა გმირებს და უდროოდ აბერიკაცებენ.

ქ-ნს გიგაურსაც ასე მოჰსვლია, თავისი აზრები და შეხედულება ცხოვრებაზედ ათის წლის ქეთოსათვის მიუკერძებია და ამიტომაც მისი „საყმაწვილო მოთხრობა“ სინამდვილეს ჩამოჰშორებია და საყმაწვილო აღარა დაჩნევია რა. ერთად-ერთი ბავშვური მოქმედება ქეთოსი ისაა, როცა სოფლის გოგოების ნაჩუქარ კურდღელს ავადმყოფობის დროს ქინა-ქინას ალევინებს, მაგრამ ქეთოს ექიმობა კურდღელს არარას შველის. კურდღელს ქეთო დიდის ამბით ასაფლავებს და კარგა ხანსაც სწუხს მის სიკვდილს. აი მთელს მოთხრობაში ერთად-ერთი მიკროსკოპიული ადგილი, რომელიც ასე თუ ისე სინამდვილეს მოკლებული არ არის. დანარჩენი ადგილები-კი სრული ბავშვის ბუნებისა და ფსიხოლოგიის უცოდინარობის შედეგია.

საყმაწვილო მოთხრობა განსაკუთრებით ლამაზის და გასაგებ ენით უნდა იწერებოდეს; უამისოდ მოთხრობა თავის დანიშნულებას ნაკლებად მიაღწევს. ქ-ნ ნ. გიგაურის ნაწარმოები ამ მხრივ უფრო კოჭლობს. მკითხველი ზემომოყვანილ მოთხრობის ადგილებიდგანაც ადვილად ნახავდა ქ-ნ ნ. გიგაურის ენის სიფაქიზეს, და თუ ეს საკმარისი არ იქნება, აი, კიდევ ნიმუში: „შინ გაუჯავრდნენ (ქეთოს) და უთხრეს: ღმერთმა დაგანახა, რომ რასაც უფროსების ნება-დაურთველად მოიქმედებ, ის საქმე კეთილად არ წაგივაო“ და სხ.

მოთხრობაში ერთი ახირებული, გაუგებარი ადგილია. სონას რომ დედის გარდაცვალების ამბავი მოუვიდა, ავტორი განაგრძობს: „სონამ ამის გაგონებაზე წაიშინა თავში, მოჰყვა საცოდავად ტირილს და იძახდა გამწარებით: მომგვარეთ ჩემი დედა, ან მე წამიყვანეთ იმასთანაო, მაგრამ სად უნდა წაეყვანათ, დედა იმისი კიდეც დაესაფლავებინათ და სონას-კი უმალავდნენ“. თუ-კი სონამ დედის გარდაცვალების გაგონებაზე „წაიშინა თავში“, საცოდავად ტირილი მორთო და სხ., მაშასადამე, დედის სიკვდილი უკვე გაუგია, და მაშ რას „უმალავდნენ“! ნუ-თუ დავიჯეროთ სიკვდილი აცნობეს და მარტო „დასაფლავებას“ უმალავდნენ! ეს რაღაც წარმოუდგენელია! სონა თორმეტის წლის ქალი იყო და აბა როგორ დაიჯერებდა, რომ დედა მოუკვდა და არ დაასაფლავებდნენ? ერთი სიტყვით, რაღაც გაუგებრობაა, რასაც სრულიად ადგილი არ უნდა ჰქონდეს საყმაწვილო მოთხრობაში.

ამნაირად, ჩვენის აზრით, ქ-ნ ნ. გიგაურის მოთხრობა ყოველის მხრივ სუსტი ორიგინალი მოთხრობაა; ჩვენს ღარიბ საყმაწვილო ლიტერატურას იგი ვერაფერს შესძენს. ქ-ნი ნ. გიგაური ქართულს ლიტერატურაში ცნობილია შინაარსიან მოთხრობების მთარგმნელად, და ამ გზას რომ იგი გვერდს არ აუქცევდეს, უფრო მეტს სარგებლობას მოუტანს ჩვენს ლიტერატურას, ვინემ ორიგინალ საყმაწვილო მოთხრობების წერით.

ა. ყუმისთაველი.

წერილი
რედაქციის მიმართ
ორ-გვარი აზრი.

ამას წინად ქალბატონმა ნატალია გიგაურისამ გადმოთარგმნა ქართულს ენაზე და გამოსცა ცალკე წიგნაკად ინგლისური მოთხრობა: „ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა“ ამ წიგნის შესახებ გამოითქვა ქართულს პრესსაში ორი ერთმანერთის წინააღმდეგი აზრი: ჩვენმა მოულალავმა პროფესორმა ხახანაშვილმა იგი აღიარა ფრიად სასარგებლო წიგნად და ინატრა, რომ ყველა შეგნებულ ქართულ ოჯახში გაჩენილიყო ეს წიგნი. გუშინდელს „ივერიაში“-კი სრულიად წინააღმდეგი აზრი ამოვიკითხე. წიგნი ცუდი ენით არის ნათარგმნი და უვარგისიაო. რომელს მხარეზე არის სიმართლე? მე მგონია, რომ აქაც სიმართლე შუალა ადგილზე მოიპოვება. მართალია, წიგნის ენა შიგა-დ-შიგ კოჭლობს, მაგრამ არც იმდენად, რომ აზრის შეგნება დაუმალოს მშობლებსა და აღმზრდელებს, რომელთათვის არის იგი დანიშნული. ხოლო დედა-აზრი თხზულებისა ფრიად სიმპატიური და სასარგებლოა. ამის თანა მაღალი გრძნობით სავსე თხზულება ბევრია ინგლისურს ენაზე, ჩვენი ლიტერატურა-კი უკიდურესად ღარიბია ამ მხრივ. უნდა გვახსოვდეს რომ ჩვენთვის საღი ეთიკური წიგნები ბევრად უფრო საჭიროა, რადგანაც ზნეობრივი დაცემულობა შეადგენს უმთავრესს სენს ქართველის ოჯახისას. ამისათვის ჩვენ სრული გულით ვისურვებთ ამ სასარგებლო წიგნის გავრცელებას ჩვენს საზოგადოებაში, მით უმეტეს, რომ ამ თემაზე არ არსებობს ჩვენს ენაზე არც ერთ სხვა თხზულება, არც თავისებური და არც ნათარგმნი.

იაკობ გოგებაშვილი.

„ივერიის“ ფოსტა:

ბაგრატ მგალობლიშვილს: თქვენი ამბავი არ იბეჭდება, მადლობა ღმერთს, რო შერიგებულან.

თელავი. ბ. ზოგი მერეს: მოკლედ მოიწერეთ,

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

10 ივლისს.

ვარშავა. ვარშავას მოვიდნენ ფრანგი ჟურნალისტნი ჟურდენი და დაგერიე, სანაძლეოზედ ქვეყნის გარშემო მოსავლელად სამს წელიწადს გამოსულნი და გზა-და-გზა თავის შრომით საზრდოს მშოველნი. პარიჟიდგან იგინი გამოვიდნენ წარსულს სექტემბერს და მიდიან პეტერბურგს.

კრონშტადტი. ინგლისს, მდინარე კლაიდზე ჩაუშვეს არხანგელ-მურმანის ამხანაგობის გემი „თეოდორ-ჩიჟოვი“.

გუშინ მოვიდა ავსტრიის სამხედრო ხომალდი.

ვენა. მობრძანდნენ მეფე საბერძნეთისა და მეფის ძე ქრისტეფორე.

პეტერბურგის ბირჟა, 9 ივლისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,00
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,,	46,27$^{1}/_{2}$
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	4$^{1}/_{2}$—6$^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლი შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	472 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	356$^{1}/_{2}$ მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	290 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	90$^{1}/_{8}$ გაყ.
4$^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 23 ივლისისათვის დანიშნულია სამოქალაქო საქმეთა განხილვა.

1. დათა, სანო, ალექსი და ნიკო კოშაძეთა და თ. ნომან ჯავახოვის დავა 870 მანეთზე.
2. თევდორე კუსაკინისა და არჯევან მოროხაიშვილის საქმე 100 მანეთზედ.
3. ზაქარია და სხვ. მღებრიშვილებისა და თ. ივ. ერისთავის საქმე მამულის მფლობელობის აღსადგენად.
4. სიმონ ჯავახოვისა და დავით ვარსიმოვის საქმე—29 მანეთისა.
5. ანტონ ახაბაძისა და ანტონ იაშვილის დავა 40 მანეთზედ.

ტფილისის სამოსამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 30 ივლისისათვის დანიშნულია სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

1. ბართლომე ქუთათელაძისა და თავ. ივანე წულუკიძის დავა 100 მანეთ ზარალზედ.
2. არონ ჯიჯელხაშვილის და ზაქარია მინდიაშვილის ცხენის შესახებ 23 მანეთზედ.
3. ჩაქტო ანთიასი და კოსტა მესხის დავა 60 მანეთზედ.
4. ბახვა ჯანჯღავასი და პუპი მიქელაძის დავა 75 მანეთზედ.
5. ბახვა ჯანჯღავასი და ალექსანდრე ჩაჩიბაიას დავა თ. პუპი მიქელაძესთან ერთად და სხვ. 69 მან. 11 კაპეიკზედ.
6. ნიკოლოზ ზაალოვისა და მიხეილ ნონიევისა და სხვ. დავა 1063 მანეთზედ.

ყოველ-დღური საჭირო ცნობანი:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	6 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის თავში ძველ აბანოებთან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

თბილი გოგირდის აბანო

„ფანტაზია“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანაოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის ს[illegible] 37$_{50}$ ც. ფასი მცირეა. კონკ[illegible]ქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (სანდრო).

ტელეფონი № 555 (6.—(წლ.

Денисовский

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6.—16)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოელისა

ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საყმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილისა	„ 30
საქართ. ისტორია ბროსსე I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60
სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ. „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა.	„ 30
ყოველის მხრიდგან. არბოელისა.	„ 10
ამოდის ნათდება, ვაჟა-ფშაველასი	,, 15
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„ 50

ფინანსთა სამინისტროს გამგეობაში მყოფი

საბუხგალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა,

ავტორისა „სავაჭრო, საქარხნო და სანავთ-მრეწველო ბუხგალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების მიერ, ვითარცა ხელშემწყობი წიგნი საკომერციო სასწავლებლებში სასწავლებლად.

ასწავლის და ამზადებს

ორისავე სქესის ახალგაზდებს პრაქტიკის შემწეობით საბუხგალტერო მუშაობისათვის 4 თვეში, თან ბულდავანობასაც კისრულობს და, როცა საჭიროა, რეკომენდაციასაც გაუწევს.

სწავლების საგნები:

1) **ორ-მაგი იტალიური ბუხგალტერია მრეწველობის ყოველ დარგისათვის, დაწმენდილის ნავთის საქარხნო წარმოებისა და ნავთმრეწველობის დარგის გამოუკლებლადაც-კი.** 2) **საკომერციო არითმეტიკა.** 3) **საკომერციო მიწერ-მოწერა** (**კორესპონდენცია**). 4) **სავექსილო და სავაჭრო მართლიერება.** 5) **კალიგრაფია და გასწორება სულ ცუდის ხელისაც-კი წერაში.**

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე. სწავლა დაიწყება და იწარმოებს 1902 წლის 15 სექტემბრიდან და ყოველ 4 თვეს შემდეგ კვლავ განახლდება, ყოველ დღე, ნასადილევს. ფასი 60 მან. მთლად კურსისათვის. კურსის გათავებისას მოსწავლეს ეძლევა დაწესებული მოწმობა, ნება-დართული წესდებისამებრ ფინანსთა სამინისტროს მიერ. მსურველთ ვსთხოვ მიჰმართონ წერილით ანუ პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში, ნიკოლოზის ქუჩა, № 46. პროგრამა უსასყიდლოდ გაეგზავნებათ. ზემოხსენებული სახელმძღვანელო ისყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის. თითო ეგზემპლიარის ფასია 3 მან. 50 კაპ.

(25—379—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 іюля 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.